



# როგორ შევარჩიოთ სახელი კომპანიისთვის

# როგორ შევარჩიოთ სახელი კომპანიისთვის

ავტორი: მარიამ ფხოველიშვილი

კომპანიისთვის სახელის შერჩევის ჯადოსნური რეცეპტი სამწუხაროდ არ არსებობს, მაგრამ ამ სტატიაში გაგიზიარებთ რამდენიმე რჩევას, რაც დაგეხმარებათ გაიაზროთ, თუ რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

უკვე შექმენით ბიზნეს გეგმა, დახვეწეთ თქვენი პროდუქტი ან მომსახურება, და გაანალიზეთ თქვენი კონკურენტები? საბოლოო ნაბიჯი არის ბიზნესის სრულყოფილი სახელის მოფიქრება და ეს სულაც არ არის ადვილი ამოცანა.

თქვენი ბიზნესისთვის სწორი სახელის არჩევა გავლენას მოახდენს თქვენს მარკეტინგულ და ბრენდინგის მიმართულებაზე, არასწორი სახელის შერჩევამ შეიძლება გამოიწვიოს თქვენს მომხმარებლებთან სუსტი კავშირი და გავლენა მოახდინოს თქვენს წარმატებაზეც კი.

მაშ, საიდან დავიწყოთ და როგორ შეგვიძლია ავირჩიოთ სრულყოფილი სახელი ბიზნესისთვის?

## ცნობილი კომპანიების სახელების წარმოშობა



Google - კომპანიის პირველ ინვესტორს სწორედ ეს სიტყვა ეწერა ჩეკზე. ზოგადად ციფრს, რომელშიც ასი ნულია, ინგლისში ეძახიან googol-ს.



Nike - დასახელება მოდის ძველი ბერძნების გამარჯვების ღმერთის ნიკეს სახელიდან



Canon - კომპანიის სახელწოდება წარმოდგება ბუდისტური კულტურის სათნოების ღმერთისგან



LEGO - დანიურად შემოკლებით "Leg Godt", ნიშნავს "კარგად თამაშს "



Adidas - ეს გახლავთ შემოკლებული სახელი ფირმის დამაარსებლისა Adi Dasler

წყარო: [businessinsider.com](https://www.businessinsider.com)

## დაუსვით საკუთარ თავს სწორი შეკითხვები პროცესის დაწყებამდე:

### რისი განხორციელება/მიღწევა მაქვს დაგეგმილი ?

სახელი დაგეხმარებათ კონკურენტებისგან გამოყოფაში და კომპანიის იმიჯის განმტკიცებაში. სახელის არჩევამდე მნიშვნელოვანია განსაზღვროთ როგორ პოზიციონირებას გაუკეთებთ თქვენს ბრენდს. იყავით ფრთხილად, რომ არ შეზღუდოთ საკუთარ თავი და თავიდან აიცილოთ ისეთი სახელების არჩევა, რამაც შეიძლება შეაფერხოს თქვენი ბიზნესის პროდუქციის ხაზების გაფართოება ან ახალ ბაზრებში შეღწევა. ეს უნდა იყოს სახელი, რომელიც გაუძლებს დროის გამოცდას.

### რომელი ხუთი სიტყვა აღწერს თქვენი ბიზნესის ტონს საუკეთესოდ?

*ბრენდის ტონი (TOV) არის კომპანიის საკომუნიკაციო ენა. ის განსაზღვრავს როგორ ესაუბრება ბრენდი თავის აუდიტორიას.*

დაფიქრდით თქვენი ბრენდის ხმაზე, და ჩამოწერეთ სიტყვების გრძელი სია, რომელსაც გამოიყენებდით თქვენი ბრენდის დასახასიათებლად. შეკრიბეთ ჯგუფი და იმუშავეთ ერთად, რათა შეამციროთ ის 5 საკვანძო სიტყვამდე, რომლებიც გამოირჩევა. გამოიყენეთ ეს სიტყვები, როგორც შთაგონება ბიზნესის დასახელების მოსაფიქრებლად და გამოიყენეთ ისინი როგორც მამოძრავებელი ბრენდის პოზიციონირების გასაუმჯობესებლად.

### რა პრობლემების გადაჭრა შეგიძლიათ თქვენი აუდიტორიისთვის?

ნებისმიერი კომპანიის ფუნდამენტური იდეა არის, რომ ის რაიმე სახის პრობლემას აგვარებს მომხმარებლისთვის. თქვენ უნდა შეგეძლოთ აღწეროთ პრობლემა, რომელსაც გადაჭრით სამიზნე აუდიტორიისთვის ერთი ან ორი წინადადებით. ძალიან მნიშვნელოვანია ამის დადგენა, სანამ თქვენი ბიზნესის დასახელების შერჩევას შეუდგებით. გადაწყვეტილებების განსაზღვრა არის ყველაზე გავრცელებული გზა, რომლის საშუალებითაც კომპანიები ბიზნესის სახელს ირჩევენ.

### კომპანიის სახელების ტიპები



## გთავაზობთ ძირითად ნაბიჯებს ბიზნესის სრულყოფილი სახელის ასარჩევად:



### 1. იყავით ორიგინალური

მნიშვნელოვანია გქონდეთ ბრენდის უნიკალური სახელი, რომელიც არის დასამახსოვრებელი და გამორჩეული.



### 2. იზოგნეთ სახელი, რომელიც გადმოსცემს თქვენი კომპანიის ღირებულებებს

სახელის ქონა, რომელსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს, დაეხმარება თქვენს ბრენდს ღირებულების მოპოვებაში. მთავარია დარწმუნდეთ, რომ ის პოზიტიურია და თქვენს ბიზნესს უკავშირდება.



### 3. მოითხოვეთ უკუკავშირი

მიიღეთ უკუკავშირი იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ენდობით, დაიწყეთ თქვენი ბიზნესის სახელის იდეების გაზიარებით მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და თანატოლებთან, ან თუნდაც შექმენით გამოკითხვა თქვენი სამიზნე აუდიტორიისგან გამოხმაურების მისაღებად.



### 4. გახადეთ სახელი რელევანტური

დარწმუნდით, რომ თქვენი ბიზნესის სახელი თანხვედრაშია თქვენს პროდუქტთან ან მომსახურებასთან.



### 5. შეისწავლეთ სოციალური მედია

ჩაატარეთ პატარა კვლევა სოციალურ მედიაში, მოძებნეთ თქვენი ბიზნესის სახელი: Facebook, Instagram, Twitter და LinkedIn გვერდებზე- და გადაამოწმეთ არსებობს თუ არა მსგავსი სახელის მქონე გვერდები სოციალურ პლატფორმებზე.



### 6. იფიქრეთ თქვენს ლოგოზე

მნიშვნელოვანია დარწმუნდეთ, რომ თქვენი ბრენდინგი თანმიმდევრულია ყველა საკომუნიკაციო არხში. ზოგჯერ, განსხვავებული ფერები და დიზაინიც გავლენას ახდენს მომხმარებელზე.



სახელი უნდა იყოს აზრიანი, გამორჩეული, მარტივად აღსაქმელი ან ემოციური, თუმცა აუცილებელია სახელის შერჩევასას გავაანალიზოთ თუ როგორი ბრენდის შექმნა გვაქვს გეგმაში და რომელი პუნქტი უფრო მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

## ხშირად დაშვებული შეცდომები:

- სახელები, რომლებიც ძნელად იწერება
- სახელები, რომლებიც ძნელად წარმოსათქმელია
- სახელები, რომლებიც ზღუდავს ზრდას
- ძალიან გრძელი სახელები

## ანალიტიკა:

- ტოპ ბიზნესების 63% სახელი წარმოიშვა შედგენილი ან შემოკლებული სიტყვებით
- თუ შეზღუდული ბიუჯეტი გაქვთ, უფრო გონივრული ისეთი სახელის მოფიქრება იქნება, რომელიც ავტომატურად გადმოსცემს თქვენი ბრენდის არსს
- საჭიროა ხუთიდან შვიდჯერ მაინც მოუწიოს მომხმარებელს თქვენს ბრენდთან გადაკვეთა, იმისათვის რომ დაიმახსოვროს მისი სახელი
- თქვენი ბიზნესის სახელისა და ბრენდინგის თანმიმდევრულად გამოყენებამ, ყველა საკომუნიკაციო არხში, შეიძლება გაზარდოს კომპანიის შემოსავალი 23 % -მდე.

<sup>1</sup>PMO მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანიაა, რომელიც სხვადასხვა ინდუსტრიაში მოქმედ ორგანიზაციებს მომსახურების ფართო სპექტრს სთავაზობს. ჩვენი მომსახურება მოიცავს: ბაზრის კვლევასა და ანალიზს, კონსულტაციებს ორგანიზაციული

განვითარების მიმართულებით, ბაზარზე შესვლისა და ბიზნესის გაფართოების მიზანშეწონილობის კვლევას, ადამიანური რესურსების, მარკეტინგისა და პროდუქტის განვითარების მართვაში დახმარებას. ჩვენ ასევე ვუწევთ მომსახურებას კომპანიებს რისკების მართვისა და ფინანსების მიმართულებით.

[www.pmo-bc.com](http://www.pmo-bc.com)

(+995 32) 2 37 73 07

რაფიელ ერისთავის ქ.16

თბილისი, 0179, საქართველო



<sup>1</sup> მნიშვნელოვანია: მოცემული დოკუმენტი და მასში შეტანილი ყველა იდეა, კონცეფცია, ჩარჩოები და რეკომენდაციები წარმოადგენს PMO Business Consulting-ის ინტელექტუალურ საკუთრებას. ინფორმაციის სრულად ან ნაწილობრივ გადაცემა, გადაწერა, გავრცელება, გადამუშავება ან დოკუმენტის ნებისმიერი სხვა სახით გამოყენება არ არის დაშვებული მთავარი წყაროს გარეშე – [www.pmo-bc.com](http://www.pmo-bc.com)